



მკვთარი ხშულნი ქართულში

გ. ახვლედიანისა.

I.

'Tenues-médiales'-ს პრობლემის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საკითხი იმ ხშულ თანხმოვანთა შესახებ, რომელთაც ქართულად „მკვეთრი“ ვუწოდებ, ხოლო გერმანულად scharfe ან reine Tenués ჰქვია<sup>1)</sup>. ასეთ თანხმოვნებად ითვლება ზოგიერთ ცერობულ ენათა განსაზღვრულ გარემოებაში მყოფი k t p. მაგრამ რაც შეეხება თვით k t p -ს ჩვეულებრივ სახეს, ეს ასე თუ ისე გამოპოკეუულია თვითნებური ენისათვის ცალკე; მათ თან ახლავს ამა თუ იმ ოდნობის ასპირაცია, მაგრამ ამოცანას წარმოადგენს k t p -ს ის სახე, როდესაც მათი წარმოებისათვის თითქოს ფუინვას (ასპირაციას) ადგრილ არა აქვს. ამ უკანასკნელი ბუნების ხშულნი (= „მკვეთრი“) ა) ცერობულ ენებში დამოუკიდებელ კლასს არ წარმოადგენენ, რის გამოც ბ) მათ ცეროპის სამწერლო ენებში გრაფიკული გამოხატულება ვერ ჰპოვენს. ქართულში კი პირაქით: აქ კ ტ პ -ს მკვეთრობა იმდენად აშკარად არის გამოხატული, რომ ისინი დამოუკიდებელ კლასსაც წარმოადგენენ და გრაფიკული გამოხატულებაც თავისი აქვთ. ამიტომ ქართული კ ტ პ -ს შესწავლას უადრესი მნიშვნელობა ექნება საზოგადოდ tenues-médiales'-ს საკითხის გასაშუქებლად და კერძოდ მკვეთრობა საკითხისათვის<sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik<sup>2</sup>, Lpz. u. Berl. 1913, გვ. 104 და შემდეგ აქვე შევნიშნავ, რომ H. Schuchardt'-ის მიერ კ ტ პ -სათვის მიღებული „მტკიცე“ (stari) გულისხმობს კ თ ფ -ს „არბილ“- (weich) თანხმოვნებად, რაც მიუღებლად ყოველი თვალსაზრისით (იხ. მისი Über das Georgische, გვ. 10).

<sup>2)</sup> ასეთივე თანხმოვნები აქვს ოსურ ენას, რაც შესძლოა ქართულს გვიღვნით აიხ ნებოდეს. იხ. აგრეთვე W. Miller, die Sprache der Osseten გვ. 13 in: Grundriss der Iranischen Philologie, B. I.

0. Jespersen-ის თანახმად არსებობს ხშულთა ექვსი კლასი<sup>1)</sup>; მაგრამ მისი აზრით თვით თვით ენაში არსებობს მხოლოდ ორი კლასი, ურთიერთ შორის მტკიცედ განსხვავებული და სიტყვათა განსახვავებლად გამოყენებული<sup>2)</sup>. Jespersen-ის მიერ რომ მხოლოდ ევროპული ენებია მხედველობაში მიღებული, ამას ამტკიცებს ქართული, სადაც ფაქტურაა (და გრაფიკულადაც) მტკიცედ განსხვავებულია ურთიერთისაგან ხშულთა სამი კლასი (1. კ ტ პ 2 ქ თ ფ ჰ. გ ღ ბ) და გამოყენებულია სიტყვათა განსახვავებლად (1. კარი, ტარი, პარი; 2. ქარი, თარი, ფარი; 3. გარი, ღარი, ბარი).

ამგვარად, ერთი თვალის გადავლენითაც; ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ქართულს ხშულთა შესწავლას საზოგადო ფონეტიკოსათვის: ის, რაც ევროპულ ენებში ჩანს მხოლოდ გარემოების მიხედვით (და აქა-იქ დასტურად), ქართულში ნათლად არის გამოხატული და შთელი ერის ბგერათა სისტემას ახასიათებ<sup>3)</sup>.

ამ თამაზ აზრად მაქვს: ა) გამოვარკვიო ქართული კ ტ პ-ს ბუნება სხვა ენის ბგერებთან შედარებით, სახელდობრ რუსულისა, რომლისაგანაც ამ ერთი საუკუნის განმავლობაში შრავალი სიტყვა უსცხვებია ქართულს, და შევძღვებ) გამოვთქვა რაზოდენიმე მოსახრება მკვეთრობის მიხრებრსა და მკვეთრთა წარმოების ფრზილოლოგიურ პირობათა შესახებ.

ზართალია, უკანასკნელი სიტყვა ექსპერიმენტულ ეკუთვნის, მაგრამ, ჩვენის აზრით, საკმარ ნათელს მოქმენს ბგერის ბუნების შესწავლას

1) სემეიური tenues: ა) სრულ-ს ასირაკიო (heblasene Verschlusslaute), ბ) მკრე ანკი-აკიო (behauchte Verschlusslaute) და გ) მკვეთრნი (scharfe ანუ reine Tenues).

სამგვარი mediae: ა) ყრუ, ბ) ნახევრად ყრუ და გ) ნახდელი mediae (O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, 103 და ზენე.).

2) „... haben wir also .. sechs (3-3) Klas-en getroffen, die natürlich nicht immer leicht auseinanderzuhalten sind. Wir bemerken dabei einen gewissen Parallelismus, indem jede Sprache in gegensätzlicher Verwendung (d. h. Wörter zu unterscheiden) nur zwei Klassen hat, und zwar diejenigen, welche sich stark einander unterscheiden...“ (გვ. 104).

3) თუ-ს ბური k t p-ს არსებობა ქართული გაკრით აღნაწნული აქვს Sievers-ს (Grundzüge der Phonetik...<sup>3)</sup>, Lpz. 1901, გვ. 141).

იმის გამოკვეთვა, თუ როგორ აფასებს თვით ხალხი თავისი ენის ამა თუ იმ ბგერას სხვა ენის ბგერებთან შედარებით; ამისათვის კი მდიდარ მასალას წარმოადგენს ნასესხი სიტყვები<sup>1</sup>...

მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული ქართულ სასაუბრო ენაში მრავალი სიტყვა შემოვიდა რუსული ენიდან: ზოგი წმინდა რუსული და ზოგიც ევროპული—რუსული ენის გზით; მრავალი მათგანი ქართულ სამწერლო ენაშიც შეიქა. ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორი ბგერითი სახე მისცა თვით ხალხმა თავის სასაუბრო ენაში უცხო სიტყვას, როგორ გამოიყენა ქართველმა ხალხმა სესხების დროს—საკუთარი ბგერითი მასალა, რომელიც არსებითად განსხვავდება უცხო (ან შემოხვევაში რუსული) ენის ბგერითი მასალისაგან. ეს შედარება მით უფრო საყურადღებოა, რომ აქ გამოიჩვენება რამოდენადმე თვით რუსული ბგერების ხასიათიც...

რომ ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ნასესხები სიტყვა, როგორიცაა ლაფთუქა (Лафутка) და მოვიგონოთ, რომ ზოგი ფონეტიკოსის აზრით, რუ' ულს მკვეთრი К Т П აქვს (მაგ., იგივე Jespersen, Lehrbuch... გვ. 104), ორივე ენისათვის საყურადღებო მოვლენას აღმოვაჩინებ: რუსული К Т П -ს გადმოტანის დროს ქართველმა გამოიყენა თავისი ენის სრული ასპირაციის მქონე ქ თ ფ და არა კ ტ პ: ცხადია, რომ ქართველის ყურისათვის რუსულ К Т П -ში საქმა ასპირაცია ის მოდა. უკველია, ქართული ასპირატები განსხვავდება რუსული К Т П -საგან<sup>2</sup>. ძველამ ეს განსხვავება იმდენად არსებითი არ არის,

<sup>1</sup>) დღემდე ამ გზას მიჰპატავდნენ ხოლმე უმეტესად ისტორიულ-ფონეტიკურ მიხედვით, ხოლო აღწერილობითი ფონეტიკა მას საქმა ყურადღებას არ აქცევდა, რაც აიხსნება სექსპერიმენტო ფონეტიკის განვითარებით ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში, ერთის მხრით, და იმ პირობების სირთულით, რომელსაც თან ახლავს ენიდან ენაში სიტყვის სესხებას (მეთოდების შესახებ იხ. Jespersen, Phonetische Grundfragen, Leipz. u. Berl. 1904, თავი VI: Untersuchungenmethoden). H. Schuchardt - ისა და ეს. მილლერის ცდის/შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>2</sup>) სობილის და სიმაგრის მხრივ განსხვავებაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია, რადგანაც კი ლათინურში უკვე შემოხვევაში „მაგალით“, მაგრამ ქართულში ქ'ღ რის გადმოტანით, რომელსაც შეტომით „რბილს“ უწოდებენ, იხ. A. Karapet, Милгреевские слова, II том, გვ. 31 და Schuchardt, Op. cit., გვ. 10.

რამდენადაც ქართულ კ ტ პ -სა და რუსულ К Т П -ს შორის: ოდნავი ასპირაცია ცი რომ ახლდეს ქართულ კ ტ პ -ს, მაშინ უფრო შესაძლებელი იქნებოდა რუსული К Т П -ს ქართული კ ტ პ -თი გადმოღება, ვიდრე ქ თ ფ -თი, რადგანაც ქ თ ფ -ს სრული ასპირაცია აქვს, რაც უიარაღოთაც აშკარად ჩანს. სრულიად მარტივი ექსპერიმენტით იდვილად შეიძლება ნათქვამის უფრო ნათელყოფა: პირთან ახლოს მიტანილი ასანთის ალი უფრო მეტად გადაიხრება ქ თ ფ -ს წარმოების (სკდომის) დროს, ვიდრე რუსულ К Т П -ს წარმოებისას; ხოლო ქართ. კ ტ პ -ს წარმოების დროს ალი ოდნავაც არ გადაიხრება, რადგან მათ ფეშინვა არ ახლავს, თუ შეეღველოდაში არ მივიღებთ (და არც მისაღება) რმ მცირეოდენ ჰაერს, რომელიც თვით პირშია და გარეთ გამოირეყება ხოლმე სკდომის ძალით... აქედან დასკვნა: 1 რუსულ К Т П -ს მკვეთრი არ ეთქვას; 2. ქართულ კ ტ პ -ს ფეშინვა არ ახლავს.

არ შემძლია აქვე უუარადღებოდ დეტოვო ზოგიერთ მკვლევართა მოსაზრება, თითქოს ქართულს (resp. გერმულს) თვისებური ჰქონდეს არა კ ტ პ, არაჟედ ქ თ ფ<sup>1</sup>, ა. შუხარდტი პირდაპირ ამბობს, რომ ქართულის სმენა ვერ არჩევს თავის კ ტ პ ს რუსული К Т П -საგანო (იხ. იქვე); ზას მოჰყავს ფუნა (уче) და ფორტა<sup>2</sup> (шочта), სადაც, მისი აზრით, პ უნდა ყოფილიყო დასაწყისში, მაგრამ შემდეგი ჩ -ს გავლენით ფ -დ იქცა. ავტორის მოსაზრება რომ მართალი იყოს, მაშინ ქართულში უნდა გექონოდა ფეშინაე და არა პეშინაე<sup>3</sup> (шучение), მეორე მართი უნდა გექონდეს პოპოლი და არა ფოფოლა (шопола), პუღა და არა ფუთი (шучи) და მრავალი სხვა (იხ. ქვემოთ). აქედან, რა თქმა უნდა, იმის დასკვნაც არ შეიძლება, თითქოს ქართული ფ რუსულ П -ს უდრიდეს: აქედან მაოლოდ ისა ჩანს, რომ ქართული პ არსებითად განსხვავდება რუსული П -საგან.

სრულ შეყოვნად უნდა ჩაითვალოს ჩემის აზრით აგრეთვე ქ -სათვის სპირანტული ხისიათის მიწერა (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი

<sup>1</sup>) იხ. Schuchardt, Op. cit., გვ. 10.

<sup>2</sup>) ქართულში უფრო ხშირია ფორტა.

<sup>3</sup>) ერთი იმგვარი „გამონკლისი“ ავტორსაც მოჰყავს, სახელდობრ კუგრაი; მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ხალხში ქუწყრით ცხმის.

სასაუბრო ქართულის ქ-სათვის): სხვის ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსული ენის X (სპირანტი) ქართულში ჩვეულებრივ ხ-დევ გადაზოდის და არც ერთხელ ქ-დ: ხულოჩაიცი, ხაზეინა, ხოლერა და სხვ.

მე ვფიქრობ, რომ ა) ქ თ ფ ერთი გეარის ბგერებია და ბ) უდრის იმ სრული ფშვანვის ბგერებს, რომელთაც O. Jespersen-ი უწოდებს *helisane Verschlusslaute*-ს (*Lehrbuch*, გვ. 103).

## II.

## 1. K=ქ ან კ.

რუსულიდან ქართულში სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა წრის მიერ შემოტანილი K-ს შქონე სიტყვებია, მაგალითად, შემდეგი:

ა) K=ქ: ღერქი (*дыряк*), ლქა (*лак*), ლქია (*лакэй*), ზღუტუქი (*платок*), საღფეთქი (*сафетка*), სტაქანა (*стакан*), ტაღუნქი (*тарелка*), ქარაოფიდა (*картофель*), ქაში (*каша*), ჟუღუნა (*жучер*), ქუნა (*кухня*), ჩოთქა (*чотка*), ხეღქა (*челка*). ძნელია გადაწყვეტიოთ იმის თქმა, თუ ვის შაგრ და როდის არის შემოტანილი ეს სიტყვებო ქართულ ენაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ა) რუსული ენის არ შკოდნეთა ან ცუდად შკოდნეთაგან და ბ) უფრო ადრე, ვიღრე

ბ) K=კ: აკოფი (*окоп*), აკოშკა (*окошк*), ზაკუქა (*закуска*), კონკა (*конка*), კრეშა (*кряша*), ზოღკი (*полка*), ზოზოშნიკი (*позомщик*), უჩენიკი (*ученик*), შკაფი (*шкиф*) და სხვა მრავალი.. მაშასადამე, რუსულ K-ს ქართულში მიუღია ქ-ს ან კ-ს სახე.

გასული საუკუნიდან მოყოლებული რუსული ენა თან-და-თან სასაუბრო ენად იქცა ქართველთა განათლებული წარებისათვის რაღდენადაც ქართველი აღწევა რუსულის სწორ გამოთქმას, იმდენად მის შშობლურ ენას რუსული გამოთქმის ელფერი გადაქკავდა, რაც უშთავრესად ქართულ ბგერათა თან-და-თან იცვლებადობის შდღეგი იყო რუსულ ენაზე მოსაუბრეთა წრეში. მაგალითად, რუსულის კარგად შკოდნეთა გამოთქმაში ქართულ ხ-სა და ყ-ს შდარებით უფრო წინა ბრტიკულაცია ახასიათებს... სხვათა შორის, ამგვარად ქართულმა კ ტ ვ-მ თავისი „მკვთრა“ ხსიათი თან-და-თან იცვალა მათ გამოთქმაში

<sup>1)</sup> იხ. А. Цагарели, *Op. cit.*, გვ. 31.

და რუსულს დამესგავსა; ეს, რა თქმა უნდა, რძენად, რამუნადაც რუსული ენის ცოდნა გავრცელდა ჩვენში. აპიტომ ხდება, ჩემის აზრით, ამ ბოლო დროს, რომ რუსული  $K T \Pi$  ქართულში ჩვეულებრივ  $კ ტ პ$ -ს სახით გადმოდის; ხოლო უწინ, როცა ქართულ მევეთრთა ბუნება დაკული იყო,  $კ ტ პ$  არ უდგებოდა რუსულ  $K T \Pi$  ს და ამიტომ  $ქ თ ფ$ -ს სახით გადმოდიოდა. ანით შე არ მინდა ვთქვა, რომ ქართულს აღარ აქვს მევეთრი ხშულნი,—პირიქით: ხალხში ნამდვილ მევეთრებია შენახული; ამიტომ, თუ თვით ხალხი (რუსულის ნაკლებ მკოდნე) ისესხებს  $K T \Pi$ -ს მქონესიტუებს, უნეტესად  $ქ თ ფ$ -ს სახით ისესხებს. შე ვფიქრობ აგრეთვე, რომ მევეთრთა თვით ბუნების ცვალებადობას გარდა საკმაო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გრაფიკასაც: როდესაც რუსულ ენას ქართული მასწავლებელი აწავლიდა, ანბანის რიგის თანახმად აწებოდა:  $K=კ$  და ორივეს ერთნაირად გამოთქვავდა; ხოლო როცა რუსი ისწავლავდა ქართველ ბავშვებს, გამოთქვით სხვადასხვა გვარად გამოთქვამდა  $K$ -ს და  $კ$ -ს, მაგრამ გრაფიკულად მაინც  $K=კ$  მაშასადამე, შეცთომით ანბანის რიგის თანახმად რუსულს არ აღმოაჩნდა  $ქ$ , ხოლო ამავე პაზეზით რუსულ  $K$ -ს მაწერეს  $კ$ -ს ბუნება... ამგვარად აქუსტიკური წარმოდგენა  $კ$  ბგერისა იცვალა რუსული გამოთქმის გავლენით, ოპტიკური წარმოდგენა  $კ$  ბგერისა დაუკავშირდა რუსულ  $K$ -ს; აქედან ცხადია, თუ რატომ გვაქვს მრავალ შემთხვევაში რუსული  $K$  ქართულ  $კ$ -დ გადმოტანილი.

ამა უნდა მივმართოს აგრეთვე შემდეგი:

მრავალ შემთხვევაში, როცა ქართულში ჩვენ ვხედავთ  $K=კ$ -ს, რუსულში ეს  $K$  სფიქსის ელემენტია (ზაპოყსაკო—*записки*, უჩენაკო—*ученик*, ბოთლიაკო—*бутылка*, კარზანაკო—*картинка*). თუ მოვიკონებთ, რომ  $კ$ -ს მქონე სფიქსები ქართულსაც აქვს (წაგნაკო, ცხენუკო, დედაკო...), ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ აქ ერთგვარ ანალოგიას აქვს ადგილი: როცა ქართველს ესმოდა რუსული (სფიქსად)  $K$ -ს მქონე სიტყვა, ანდა იგი ამგვარი სიტყვის თქმას აპირებდა, საკმაო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ ასოციაციას, რომლის წყალობითაც მის ცნობიერებაში აღუგებოდა (სფიქსად)  $კ$ -ს მქონე სიტყვები, რადგან  $ქ$ -ს მქონე სიტყვის ქართულს არა აქვს. მაშასადამე, რუსული  $K$ -ს ჩვეულებრივი მოადგილე ქართულში არის  $ქ$ ; ხოლო თუ რუსულ

კ-ს ქართველი მიიღებს კ-დ. ეს ხდება მაოლოდ განსაზღვრულ პირობებში, როქელთა საერთო გათვალისწინება უოვილ შემთხვევაში შესაძლებელია. სახელოდ, ეს პირობება, რომელნიც ხელს უწყობენ კ-ს კ-ად დაჟასებას, შესაძლებელია შემდეგი გეარისი: ა) ისტორიული (ე. ი. ბგერათა სისტემის თან-და-თან (ეკლრღება რუსული ენის გავლენით), ბ) გრაფიკული (.მ შემთხვევაში ანბანის რიგი და ის გარემოება, რომ რუსულში არსებობს მხოლოდ ერთი ნიშანი (к), ხოლო ქართულში ორი (კ ქ) და ჯ) მორფოლოგიური (ქართულში კ ბგერაინისა და რუსულში კ ბგერაინი სუფიქსების არსებობა).

## 2. Т = თ ან ტ

რუსულიდან ქართულში სხვა-და-სხვა დროს და ამა თუ იმ წრის მეოხებით შემოსულა Т-ს მქონე სიტყუებია, მაგალითად, შემდეგი:

ა) Т = თ: ბოთლი (бутылка), თოთა (тоща), ლაფთაქა (лафетка), სელთა (селта), ქართოფილი (картофель), ჩოთქა (чотка) და სხვა.

ამაზე უფრო გვიან, ან რუსულის უკვე კარგად მკოდნეთა მიერ შემოტანილი უნდა იყოს, მაგ., შემდეგნი:

ბ) Т = ტ: ზონტიკი (зонтик), კრტა (карта), სტოლბა (столб), ხტოლი (чоло), სმეტა (смета), ტტრადა (ттрада), ტუზი (туз), შტრაფი (штраф) და მრავალი სხვა.

მაშასადამე რუსულ Т-ს ქართულში მიუღია თ-ს ან ტ-ს სახე. რაც ითქვა ზემოთ .კ=ქ ან კ-ს შესახებ, იგივე ითქმის, mutatis mutandis, .Т=თ ან ტ-ზედაც. მხოლოდ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებანი:

ჩვენს ენას ირა აქვს ისეთი სუფიქალური ელემენტი, რომელშიაც ტ იყოს; რუსულშიც ნაკლებადან Т-ს მქონე მაწარმოებელი სუფიქსი, მაგრამ მინც არას, მაგ.: ნუТЫმ, კრუТЫм, краснотым, კრუло-отыმ. მაშასადამე ისეთ ანალოგიას, რომელიც რუსულ კ-ს კ-დ გადმოტანას ხელს უწყობდა, აქ (ე. ი. Т-ს ტ დ გადმოტანაში) ადგილი არ ექნებოდა. როდესაც რომელიმე რუსულ სიტყვაში, მაგ., სო-მბТ-ში, ქართველს რუსული Т ესმოდა, მას უნდა შექქნოდა აქუსტიკური წარმოდგენა მხოლოდ თ-სა. რადგან 1) რუსული Т-ს ოდნავი

ფშვინვა მოაგონებდა მას ქართულ თ-ს და ჰ) არაერთი ასოციაცია. სუფიქსალური ელემენტისა არ არსებობდა, რომ ტ-ს წარმოდგენა აღსაქვრდა რუსული Т-ს გაგონეს. პირიქით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქართულში კ-ს მქონე სუფიქსებს არსებობა აპკედრებდა რუსულ სუფიქსალურ К-ს ქართულში კ-ს (და არა ქ-ს) საბით. საზაგიეროდ. ქართულში სტ კომპლექსის სიხშირე (სტვა, სტუმარი, ნეტაანი...) ხელს უწყობდა რუსული СТ-ს ქართულში სტ-დ გადმოსვლას. მართლაც ძალიან ხშირად რუსულში СТ-ს მქონე სიტყვები ქართულში სტ-ს მქონედ გადმოდიან: სტალი, სტაქანი, ზრახტი, —ისტი (გემს-ზისტი) და მრავალი სხვა...

ამას (ე. ი. Т-ს ტ-დ გადმოტანას) შესაძლოა ისიც ხელს უწყობდა, რომ ფშვინვის მიხედვით, თვით რუსულ К-სა და Т-ს შორისაც განსხვავება უნდა იყოს: К-ს მეტი ფშვინვა აქვს, ვიდრე Т-ს; მაშასადამე, ეს უკანასკნელი უფრო უახლოვდება ქართულ ტ-ს, ვიდრე რუსული К ქართულ კ-ს<sup>1</sup>.

მაშასადამე, აქაც თამამად შეიძლება რუსული Т-ს მოადგილედ ქართ. თ მივიღოთ; მაგრამ, თუ ჩვენ Т-ს ნაცულად ქართულში ტ გვაქვს, ეს აიხსნება იმავე პირობებით, რომელნიც К-სათვის იყო მოყვანილი შესაძლ მუხლის გამოკლებით, მაგრამ სამაგიეროდ ფონეტიკურის მიპატებით (იგულისხმე ისეთი შემთხვევები, როცა სტ კომპლექსი ქართულში გვაქვს რუსული СТ კომპლექსის ნაცულად).

### 3. П=ფ ან პ.

რუსული ენის П-ს ქართულში სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა წრის მეოებით მიუღია ან ფ-ს ანდა პ-ს სახე, რაც ჩანს შემდეგი მაგალითებიდან:

ა) П=ფ: ყოფი ან ყოფა<sup>2</sup> (офору), ღუმფა (луффа), ღაფთაქა (луфатка), სუფო (супо), ფას (паш), ფუნა (пуча), ფოფოლა (посо-моя), ფოტა (пота), ფუთი (пуфа) და სხვა.

<sup>1</sup> შუაღ. А. Иагарева, Op. cit., გვ. 29 და 35, 36.

<sup>2</sup> ამ უკანასკნელში ჩანს აგრეთვე ბალზური (იმერული) ეტიმოლოგია: რუსული სიტყვა გააზრიანებულია საკუთარ სახელთან დაკავშირების გამო (ილბად ხემობათ).



ბ)  $\Pi = \lambda$ : აპყენა (*опсынь*), პარა (*пары*), პილოპი (*подошва*), პეჩენა (*печенье*), პეპელნიცა (*пепельница*), პოლა (*пола*), პრატკოლი (*протокон*), პრისტავა (*приставка*), სპიჩკა<sup>1</sup> (*спичка*), შპაღა (*шпатель*) და სხვა.

რაც ითქვა  $K$ -სა ან  $T$ -ს შესახებ, იგივე ითქვის  $\Pi$ -ს შესახებაც სათანადო ცვლილებებით. აქ ის გარემოება იქცევის ყურადღებას, რომ რუსული  $\Pi$  თავისთავად უფრო ხშირად იქნება  $\lambda$ -ს ქართულში, ვიდრე  $K$ -სა და  $T$ -ს.  $\Pi = \theta$ -ს მაგალითები რომ ძალიან მკირ იყოს ქართულში, მაშინ იძლევა ვიქნებოდა ერთი ბუნების ბგერებად გვეცნო რუსული  $\Pi$  და ქართული  $\lambda$ , და ამიტომ: ან  $\lambda$  უნდა გამოგვერიცხა ქართულის მკვეთრთა რიცხვიდან ანდა რუსული  $\Pi$ -სათვის მიგვეწერა ამგვარა (მკვეთრის) ხასიათი. მაგრამ, ერთის მხრით,  $\Pi = \theta$ -ს მაგალითები არც ისე მკირა და, მეორეს მხრით, აპრიორულად შეიძლება გვეუქვა, რომ ქართულს უნდა ჰქონდეს მკვეთრი  $\lambda$ , ასე ვთქვათ,  $\theta$ -ს საკონტრასტოდ, როგორც  $\gamma$ -სა და  $\theta$ -ს აქვს  $\chi$  და სიტყვათა განსასხვავებლად გაცოცხლებული (იხ. ზემოთ). რაც შეეხება იმას, რომ რუსული  $\Pi$  უფრო ხშირად გადმოდის ქართულში  $\lambda$ -ს სახით, თუცა არც  $\Pi$  რუსულში და არც  $\lambda$  ქართულში არ წარმოადგენს სუფიქსალური ნიშნის ნაწილს, — ამას მე ეხსნი  $\lambda$ -ს ნაკლები სიმკვეთრით თვით ქართულში  $\gamma$ -სა და  $\theta$ -სთან შედარებით; მაშასადამე, თუ ქართული  $\lambda$  ნაკლებ მკვეთრია, ანთ ის უფრო უახლოვდება რუსულ  $\Pi$ -ს, ვიდრე  $\gamma$  — რუსულ  $K$   $T$ -ს; ამიტომ უფრო შესაძლებელი იყო  $\Pi$ -ს  $\lambda$ -დ გადმოტანა, ვიდრე  $K$   $T$ -ს —  $\gamma$ -დ.

რაც შეეხება იმის ახსნას. თუ რატომ არის  $\lambda$  ნაკლებ მკვეთრი შედარებით სხვებთან (ე. ი.  $\gamma$   $\theta$ -სთან) ეს შევძლებთ მდგომარეობას: სამ ასპირატთა ( $\chi$   $\theta$   $\theta$ ) შორის  $\theta$  ყველაზე მეტი ფშვინვით არის ნაწარმოები:  $\theta$ -ს წარმოების დროს გაცილებით მეტი ჰაერის გაზორეკვას ვკარგავთ, ვიდრე  $\chi$   $\theta$ -ს წარმოებისას; ეს ჩანს მათი წარმოების დროს ხელის პირთან მიტ. ნითაც. მაშასადამე, თუ  $\lambda$ -ს, ასე ვთქვათ, აკლია მკვეთრობა, სამეტიეროდ  $\theta$ -ს ზედმეტი აქვს ასპირაცია, და ამიტომ მათ შორის განსხვავება საკმაოდ არის დაცული სიტყვათა განსასხვ-

<sup>1</sup>) გამაგონია აგრეთვე სფინქა და სპაჭა.

ვებლად. ჩვენ რომ იქლებული ვიყოთ პროპორციით გამოვხატოთ, ერთის მხრით, კ ტ-ს დაპოვებულზე შესაფერ ასპირატებთან (ჭ თ) და, მეორეს მხრით, კ-სა-ფ-თან, პროპორცია ასეთ სახეს მიიღებდა და ახლოებით კ(ან ტ) : კ(ან თ) = კ : ფ ... ეს განსხვავება ენას საკმარად დაუნახავს და საკაროდ არ აუცნია კ-სათვის იმ ზოპის სიმკვეთრე შეეცა, როგორც კ-სა და ტ-ს აქვს<sup>1</sup>.

შესაძლოა კ-ს ნაკლები მკვეთრობა საზოგადო მოვლენა იყოს ყველა ენებისათვის (იხ. ქვემოთ E. A. Meyer-ის ექაპერიმენტის შესახებ).

შეასაღებ, აქაც იგივე უფლება გვაქვს დავსკვნათ, რომ რუსული П-ს ბუნებრივი მოადგილე ქართულში არის ფ. მაგრამ თუ გვაქვს „პ-პ“, ამას ხელს უწყობდა შემდეგი პირობები: ა) ისტორიული, ბ) გრაფიკული და გ) „ფონეტიკური“ (იგულისხმე კ-ს ნაკლები მკვეთრობა ქართულში).

აღვნიშნავ აქვე, რომ რუსულიდან ოსურში ნასესხი სიტყვები გამოიყენა პროფ. ვს. შილლერმა სხვათა შორის ოსურ თანხმომანთა შესწავლის მიზნით (იხ. შისი Осетинские вѣщизы, ч. II, Москва 1882, გვ. 16 და შემდეგ; აგრეთვე შისი Осетика, Москва 1907. გვ. 75, 76); მაგრამ შილლერმა ვერ გამოარკვია ს.ბოლოდ ოსურისა და რუსული К Т П-ს ურთიერთ შორის განწყობილება, რადგან შის შიერ ახ იყო გათვალისწინებული 1) წრე, რომელიც სე ხულობდა სიტყვ-ს რუსულადან, 2) დრო, როდესაც სე სესება ხდებოდა და 3) თ.ნ და-თ.ნობით ცოლილება ოსურ ბგერათა რუსულის გველენით; ამით აიხსნება ის ვარემოება. რომ არა ჩანს შილლერის შრომებიდან, თუ რატომ ვადმოდის ზოგჯერ რუსული К ოსურში კ-ს სხით (ბუღკონ—*но.а.а.а.а.а.а.*, კურუფა—*к.р.у.н.а.*), ან რუსული П-ს (პადუა—*п.и.а.а.а.*); П ზოგჯერ ვადმოდის ფ-დ (კაფუკა—*к.а.н.у.с.т.а.*, ფოღკ—*п.о.а.к.*) და სხვა.

ამგვარად, შეიძლება განხილულიდან შემდეგი საერთო დასკვნა გამოვიყიანოთ:

<sup>1</sup>) ქართული კ რომ ნაკლებ მკვეთრია, მაკალითად, კ-სთან შედარებით, ჩანს სხე თა შორის ქართულიდან ოსურში ვადარ ნილი სიტყვებიდანაც: ო ური ზფონ (სპონა), მაგრამ კარი, კამეფ, ღკენიზი და სხვა (B. Мухомер, Осетика. გვ. 75...).

ა. ქართულ კ ტ პ-სა და რუსულ К Т П-ს შორის არსებითი განსხვავებაა.

ბ. განსხვავებაა აგრეთვე ქართულ ქ თ ფ-სა და რუსულ К Т П-ს შორის, მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არაა.

გ. რუსული К Т П-ს ჩვეულებრივი მონადგილე ქართულში არის ქ თ ფ.

დ. როდესაც რუსული К Т П-ს ნაცვლად ქართულში გვაქვს კ ტ პ შესაშე მუხლში მოყვანილი წესის წინააღმდეგ, ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს: 1. ისტორიული (საშივე ბგერისათვის), 2. გრაფიკული (აგრეთვე), 3. მორფოლოგიური („К-კ“-სათვის) და 4. ფონეტიკური („СТ=სტ“-სა და „П-პ“-სათვის).

## III

რაში მდგომარეობს მკვთრობის მიზეზი საზოგადოდ და ქართულ კ ტ პ-ს მკვთრობისა კერძოდ?

H Gutzmann-ი ფიქრობს, რომ *tenues*-სათვის ენის შეხების არე სასასთან ნაკლებია, ვიდრე *mediae*-სათვის<sup>1)</sup>; თუ ამას მიუმატებთ პროფ. ტომსონის მოსაზრებას, რომ შეხების არე ნაკლებია საარტიკულაჲო ორგანოთა მეტი დაქივის გამო და ამგვარად წარმოებულ ხშულთა სიმკვეთრე ამით აიხსნება<sup>2)</sup>, საფიქრებელია, რომ ამ მომენტებში ჰხელაენ ისინი სიმკვეთრის მიზეზს: ა) საარტიკულაჲო ორგანოები მეტად დაქიულია და ბ) ენის სასასთან შეხების არე ნაკლებია. რაც შეეხება დაქიულობას, ქართულიდან ცხადად ჩანს, რომ კ ტ პ-ს სიმკვეთრეს ეს არ კმნის: თუ თქვენ განზრახული გაქვთ ამათი თქმა, რაღენადაც მოდუნებული უნდა იყოს ორგანოები, მშვენიერად ისმის კ ტ პ, და პ-რიჲით: ვერავითარი ენერგიული დაქივა ორგანოთა ვერაქივეს ქ თ ფ-ს ან (ყრუ) გ დ ბ-ს — კ ტ პ-დ.

<sup>1)</sup> Physiologie der Stimme und Sprache, 1909, გვ. 171; იხ აგრეთვე W. Viëtor, Elemente der Phonetik des Deutschen, Englischen und Französischen, 1915, გვ. 197.

<sup>2)</sup> А. Томсон, Общее физиологическое, Одесса 1910, გვ. 188.

<sup>3)</sup> იხ. გ. ახვლედიანი. ყრუ mediae ქართულში (განათლება, № 4-5 1920 წ.).



ურად ნაწარმოებ ხზულთა გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ არის<sup>1)</sup>, რადგან ამგვარად ჩანს მხოლოდ სარტიკულადიო განზრახვა და არა თვით წარმოების ფაქტი. E. Herzog'-ის თეორიისაგან<sup>2)</sup> გამომდინარე დასკვნა, თითქოს სიმთა შუა არე შესაძლოა ლაც იყოს და დაბზულიც მკვეთრთა წარმოების მომენტში (ჰაერის ქვევიდან ზევით დენა რომ შეწყვეტილია, ამახ Herzog'-იც არ უარყოფს, იქვე გვ. 48), ქართულიათვის ყოველ შემთხვევაში არ მართლდება (იხ. ქვემოთ). E. A. Meyer'-ის გამოკვლევით უფშინეო p-სათვის ხმის სიშები ცოტაოდნად შინც დაშორებულია ურთიერთისაგან ( $1/2 - 2/3$  mm.)<sup>3)</sup>; მაგრამ რადგანაც ხმის სიმთა ურთიერთისაგან დაშორების აღმოჩენა შედეგია ჩხოლოდ p-ს (ფრანგ. და იტალ.) დაკვირვებისა, და ამ ბერის შესახებ კი უკვე მქონდა ზეშაო ნათქვამი, რომ შესაძლოა მას ნაკლები მკვეთრობა მქონდეს საზოგადოდ ყველა ენებში, — ამიტომ დანარჩენ მკვეთრთათვის (კ ტ-სათვის) ჩვენ შეგვიძლია E. A. Meyer'-ის დასკვნა საუაღლებულოდ არ მივიჩნიოთ. განსაკუთრებით შემდეგ დაკვირვებათა გამო:

როცა ჩვენ ვანკლავებებით წარმოეთქავთ კ, ტ ან პ-ს, ოგონოთა გახსნის შემდეგ მთქმელს (და ზოგჯერ მსმენელსაც) ესმის კენესისებრი ტკაცნი ყელში; ამგვარი ხმაურობა უფრო ცხადად ისმის, თუ ამოუსუნთქველად მრავალჯერ ვავიმცორობთ კ, ტ ან პ-ს: უკველია, რომ ეს თავისებური ტკაცანი გარწყველია დახზულ ხმის სიმთა

<sup>1)</sup> მან დააჩერინა მთქმელს კბილებ შუა პრობა და ამგვარად ათქვევინა apa, epe და სხვა; თუშცა ბავეთა მიხედვით p წესიერად ნათქვამი არ გამოდიოდა, სავაგეოროდ, მისი აზრით, სიშები ნაშველი p-სათვის ეწყობოდა, რაც ლარინგოსკოპისათვის მისაწვდომი აღმოჩნდა, იხ. Jespersen, *Phonetische Grundfragen*, 1904, გვ. 129; აგრეთვე P. Seydel, *Die labialen Verschlusslaute des Deutschen und Französischen*, Breslau 1908, გვ. 28.

<sup>2)</sup> Herzog'-ის თეორია შემდეგში მდგომარეობს: საზოგადო tenues და mediae-ს შორის განსხვავება ეყარება ახო ხმის სიმთა დახშვა-გაღებას, ახოშდ ამომდინარე ჰაერია ტალღის პირის კედლებთან განწობორ ებას (*Zur Theorie der Verschlusslaute Die Neuren Sprachen*, B. XIII, 1905, გვ. 50).

<sup>3)</sup> E. A. Meyer'-ის გამოკვლევა მოუხდენია თავისებურად გამოყენებულ ყელის სარკოთა და Flatau'-ის ყელის ჩნდოსკოპით ფრანგული და იტალიური p-სათვის (*Das Problem der Vokalspannung: Die Neuren Sprachen*, B. XXI, 1913, გვ. 161...).

სწრაფი გახსნისაგან; ამოუსუნთქველად მრავალჯერ ნათქვამ კ, ტ ან კ-ს შემდეგ ეს ტკაცანი უფრო მკაფიოდ იმატომ გვესმის, რომ სუსუნთქში დაგროვილი ჰაერი მეტის სიძლიერით ხეთქს დახშულ სიშვებს.

ამ დაკვირვებას ამტკიცებს აგრეთვე კ ტ კ-ს წარმოება ზარცვალში, როცა მათ შემდეგ ხმოვანია: მაგალითად, როცა ჩვენ ვამბობთ კა, ტა, პა-ს; კ-სა (ან ტ, პ-ს) და შემდეგი ა-ს შუა, — ა-ს დაწყებისას—ჩვენ გვესმის ე. წ. „მაგარი ქაწყების“<sup>1)</sup> მსგავსი ბგერა, რასაც ქართული ისპირატებისა და mediae-ს შემდეგ ადვილი არა აქვს.

რადგან ზემოხსენებული ხმის სიმთა ტკაცანი საკმაოდ კარგად ისმის, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ისიც აღნიშნოთ, თუ რა თანაპიშვერობა: ა პირის ორგანოთა მოძრაობასა და ხმის სიმთა დახშვას შორის მკვეთრთა წარმოების დროს: ცნობილია<sup>2)</sup>, რომ დანიურში, მაგალითად, ხმის სიმთა გახსნა წინ უსწრებს პირის დაბრკოლების გახსნას; ოსურში კი პირის დაბრკოლება უკვე მოშლილია, როცა ხმის სიშვები ჯერ კიდევ ცოტა ხანს დახშულია. ამ მხრით ქართულსა და ოსურს შორის კ ტ კ-ს წარმოებაში, როგორც ჩანს, განსხვავება არ უნდა იყოს; მხოლოდ საფიქრებელია, რომ პირველსა და მეორე მომენტს შორის მეტი დრო გადის ქართულში, ვიდრე ოსურში...

ზევით ჩვენ გვექნადა შემთხვევა გვეთქვა, რომ კ ტ კ სამივე მკვეთრია ქართულში, მაგრამ მათ შორისაც განსხვავება სიძველეთის ოღწობის მხრივ (ახ. გვ. 121); ჩვენის აზრით, რამდენადაც ეს ჩანდა, სხვათა შორის, ნასესხები სიტყვებდან, ტ ჩაითვლება ყველაზე მეტ მკვეთრად და კ ყველაზე ნაკლებ მკვეთრად; კ-ს საშუალო ადგილი უჭირავს. ახლა იზადება ასეთი საკითხი: თუ მკვეთრობის ნიშნები მხოლოდ ხმის სიმთა დახშვაა, რის გამოც ჰერის დენა შეწყვეტილია პირის ორგანოთა გახსნის მომენტში, — რით აიხსნება მათ შორის მკვეთრობის განსხვავება ოღწობის მხრივ? თუ ხსენებული ნიშნები ერთად ერთია მკვეთრობისა, მაშინ განსხვავება არ უნდა იყოს; მაგრამ, რო-

<sup>1)</sup> ვერმ. Harter Einsatz, ფრანგ. Coup de glotte, რუს. вздохим при-  
тупит; იტ. Panconcelli-Calzia, Einführung in die angewandte Phonetik,  
Berl. 1914, გვ. 36; იქვე მოყვანილია კიპოკრაფის მრუდი.

<sup>2)</sup> O. Jespersen, Phonetische Grundfragen, 1904, გვ. 12), შენ. 3.

<sup>3)</sup> შეად. E. Sievers, Op. cit., გვ. 141...

გორც ეს ზემოთ დავინახეთ, ეს განსხვავება არსებობს. მაშასადამე, საკითხი გადაწყვეტულად ვერ ჩითვლება, თუ ამ განსხვავების მიზეზიც არ მიიწინაა. ამის შესახებ შეძლება ასეთი შესაძლებლობა გამოითქვას: შესაძლოა მკვლევარისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ სისწრაფეს, რომლითაც ხდება პირის დაბრკოლების განხილვა. ცნობილია, რომ ჰაერის ერთი მთლიანი სწრაფი კვეთების (Stoss, 1904) გამო შეიძლება ბეკის შეგრძნება ტკაცანს (Knall) წარმოადგენდეს<sup>1)</sup>; რადგანაც ტკაცანსა და ხმურობას შორის მრავალი გარდამავალი საფეხური არსებობს (Tigerstedt, იქვე გვ. 124), ამიტომ ადვილი ასახსნელია განსხვავება ბ და ბ -ს შორის მკვლევარის მხრით, თუ ეს მკვლევარს დავუკავშირებთ ჰაერის სწრაფი კვეთების შეგრძნებას. მართლაც, ჰაერის დევნიის შეწყვეტა ხის სიმათა დახშულობის გამო ბუნებრივად მოითხოვს ორგანოთა სწრაფ მოძრაობას; სწრაფად მოძრაობა კი უფრო მეტად შეიძლება წინა ენას, უფრო ნაკლებად უკანა ენას და კიდევ ნაკლები ბაგეშის სწორედ ამ რიკზეა ჩვენის გამოკვლევით დაღებულ მკვლევარბ-ს ოდნობაც: ბ და ბ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ შემდეგს: იმ სამ მომენტ შორის, რომელიც საქარა ხმურსკლავში თანხა ოენის საწარმოებლად (ხევა—დაყოფენება—სკლავმა), სიმკვეთისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მესამე მომენტს—სკლავს. ეს რომ ასეა, ამას ჩვეის აზრით, ამტკიცებს; მაგალითად, ქართულიდან ოსურში ნასესხები ბიჟის აზრით, ამტკიცებს; მაგალითად, ქართულიდან ოსურში ნასესხები ბიჟის (ქართ. ბიჟის) საქვე ის არის, რომ ქართულ ბიჟისში ბ არ არის ჩვეულებრივად ნაწარმოები შეზღვევი ცხვირისმიერი ნ-ს გავლენის გამო; ბ ამ სიტყვაში არის ეგრედ წოდებული faucalis, ესე იგი მისი სკლავმა წარმოება არა პირის ღრუში წინა ენით, არამედ ხახვი ცხვირის ღრუში; სწორედ რომ ეთქვათ, მას ამ შენახვევაში სკლავის მოქმედი არა აქვს... ალალ ამიტომ უკხოლის სწენისათვის (ამ შენახვევაში ოს სა) მას თ-ს ღრუებულება მიეკავ. ცხადია, რომ ასეთი

<sup>1)</sup> ე-ლად აის შესახებ იხ. Rob. Tigerstedt, Lehrbuch der Physiologie des Menschen, B. II, 1903; აგრეთვე J. Russner, Lehrbuch der Phonetik, 1904, გვ. 168.

<sup>2)</sup> A. Toussou, Общее учение о звуках, 1910, გვ. 235-6; Jespersen, Phonet. Grundriss, გვ. 113.

<sup>3)</sup> ოსური თ დაკლები ქვეყანათა, ვაღრე ქართული; ამიტომ მეტი მგავსება ეს ოსთა ოსთა ფაქტორ ქართ. ბ-სა და ოსურ ბ-ს შორის.

შთაბეჭდილების მიზნები ტ-ს ფაუქალის და, ესე იგი ის, რომ ჩვეულებრივი სკდომა არ ისმოდა ტ-ს წარმოების დროს. ნორმალური ქართული ტ კი ოსურში ჩვეულებრივ ტ-ს სახითვე გადადის.

საერთო დასკვნა შეიძლება ამგვარად გამოიხატოს:

1. ქართული ენის კ ტ პ არსებითად განსხვავდება მრავალ ენათა k t p -საგან; ამ განსხვავებას შე ვუწოდებ მკვეთრობას.

2. მკვეთრობის მიზნები არ მდგომარეობს ენის სასასთან შეხების არის ოდნობაში და, ალბათ, არც საარტიკულაციო ორგანოთა დაკვირვებაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ იგულისხმება საარტიკულაციო ორგანოთა სწრაფი ვახსნისაფვის.

3. პირის ღრუში კ ტ პ-სათვის ვახსნის მომენტში ხმის სიმებს შუა კუპრუტანა დაზღული მცირე ხნის განმავლობაში

4. შესაძლოა მკვეთრობისათვის მნიშვნელობა ჰქონდეს იმ სისწრაფეს, რომლითაც ხდება პირის საარტიკულაციო ორგანოთა ვახსნა და რომელიც ტკაცანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

5. მკვეთრობის, როგორც ასეთის, წარმოებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს შესაბამე მომენტს, — ვახსნას.

ტფილისი, 1920 წ.